GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

03 Nisan/ აპრილი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 688.6	6671.9	10.1%	17.3 %	8.1 %

Irakli Garibashvili Avrupa Ticaret ve Sanayi Odaları Birliği ve Çek Cumhuriyeti Ticaret Odası Başkanı Vladimir Dlouhy İle Görüştü

ირაკლი ღარიბაშვილი ევროპალატისა და ჩეხეთის სავაჭრო პალატის პრეზიდენტს ვლადიმირ დლოუჰს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Avrupa Ticaret ve Sanayi Odaları Birliği ve Çek Cumhuriyeti Ticaret Odası Başkanı Sn. Vladimir Dlouhy ile görüştü.

Hükümet Başkanı Sn. Vladimir Dlouhy'ya Avrupa Ticaret ve Sanayi Odaları Birliği Başkanı olarak atanmasından dolayı tebriklerini sundu ve çalışma hayatında başarılar diledi.

Toplantıda ticari ilişkilerin geliştirilmesi, ticaret serbestisi ve ihraç pazarları konularına değinildi.

Gürcistan'daki yatırım potansiyeli ve yabancı yatırımcılar için ülkede mevcut olan elverişli iş ortamı ele alındı. Gürcistan'ın eşsiz konumunun önemi vurgulanıp Gürcistan'ın bölgesel bir ticari, dijital, ulaşım ve lojistik merkezi olarak rolünün güçlendirildiğini belirtildi.

Hükümet İdaresinde düzenlenmiş toptantıya Avrupa Ticaret ve Sanayi Odaları Birliği Başkan Yardımcısı, Türkiye Odalar ve Borsalar Birliği Başkanı Sn. Rifat Hisarcıklıoğlu ile Avrupa Ticaret ve Sanayi Odaları Birliği İcra Direktörü, Sn. Ben Butters katılmışlardı.

Gürcistan tarafından toplantıya Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili ile Gürcistan Ticaret ve Sanayi Odası Başkanı Sn. Giorgi Pertaia katılmışlardı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპალატისა და ჩეხეთის სავაჭრო პალატის პრეზიდენტს ვლადიმირ დლოუჰს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა ვლადიმირ დლოუჰს ევროპალატის პრეზიდენტის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

შეხვედრაზე საუბარი სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას, ვაჭრობის ლიბერალიზაციას და საექსპორტო ბაზრების საკითხებს შეეხო.

განიხილეს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და უცხოელი ინვესტორებისთვის ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი ბიზნესგარემო. ხაზი გაესვა საქართველოს უნიკალური ადგილმდებარეობის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ ძლიერდება საქართველოს, როგორც რეგიონული სავაჭრო, ციფრული, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ჰაბის როლი.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ევროპალატის ვიცე-პრეზიდენტი, თურქეთის პალატებისა და ბირჟების გაერთიანების პრეზიდენტი რიფათ ჰისარჩიკლიოღლუ, ევროპალატის აღმასრულებელი დირექტორი ბენ ბათერსი.

საქართველოს მხრიდან შეხვედრას ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი და საქართველოს სამრეწველო და სავაჭრო პალატის პრეზიდენტი გიორგი პერტაია ესწრებოდნენ.

Romeo Mikautadze ile Avusturyalı Bir Şirket "Verbund"un Temsilcileri Tarafından Enguri HES'in Dijital Yönetiminin Uygulanması Konusu Ele Alındı

რომეო მიქაუტაძემ ავსტრიული კომპანიის „ვერბუნდის" წარმომადგენლებთან ენგურჰესის ციფრული მმართველობის დანერგვის საკითხი განიხილა

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Sn. Romeo Mikautadze Enguri HES'in dijital yönetimini hayata geçirmek amacıyla Gürcistan'da bulunan Avusturyalı bir şirket "Verbund"un temsilcileriyle görüştü.

Bakan yardımcısı Sn. Romeo Mikautadze'nin dediği gibi, ülkenin en büyük HES'in dijital yönetime geçişi HES'in daha etkili, güvenli, operatif ve sürdürülebilir işlemesi için önemli bir rol oynayacaktır. Mikautadze'ye göre, enerji değişimi açıldığında insan faktörlerine ilişkin eksiklikler ve riskler en aza indirilmiş olacaktır. Bununla birlikte, Gürcistan'da HES'in dijital yönetiminin uygulanması emsal olacaktır.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Avusturyalı şirketin temsilcileri bilgilendirme toplantısını Gürcistan'ın elektrik sisteminde de düzenleyecekler. Ayrıca işgal altındaki Abhazya'yı yabancı uzmanların ziyareti ve orada bulunan Erguri HES tesisleri ile tanımaları planlanmaktadır.

Aralık 2022'de Enguri HES'in dijital yönetime geçişini sağlayan bir ihale ilanı yapıldı. Söz konusu girişim 3 aşamadan oluşmaktadır: 1. Yazılım için vazgeçilmez unsurlar olan mevcut durumun denetimi, analizi ve teknik parametrelerin belirlenmesi; 2. Uygun ekipmanı ile birlikte yazılımın satın alınması ve 3. Dijital yönetimin uygulanması.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე რომეო მიქაუტაძე ავსტრიული კომპანიის „ვერბუნდის" წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებიც საქართველოში ენგურჰესის ციფრული მმართველობის დანერგვის მიზნით იმყოფებიან.

მინისტრის პირველი მოადგილის რომეო მიქაუტაძის განცხადებით, ქვეყნის ყველაზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგურის ციფრულ მმართველობაზე გადაყვანა უმნიშვნელოვანესია მისი უფრო მეტად ეფექტური, უსაფრთხო, ოპერატიული და მდგრადი ფუნქციონირებისთვის. მისივე თქმით, ენერგეტიკული ბირჟის გახსნის მომენტისთვის ადამიანურ ფაქტორებთან დაკავშირებული ხარვეზები და რისკები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ამასთან, საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების შემთხვევაში, ეს იქნება ციფრული მმართველობის დანერგვის პრეცედენტი.

ავსტრიული კომპანიის წარმომადგენლები საინფორმაციო შეხვედრას საქართველოს ელექტროსისტემაშიც გამართავენ. ამასთანავე, იგეგმება უცხოელი სპეციალისტების ვიზიტი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, რათა ისინი იქ განთავსებულ ენგურჰესის ნაგებობებს ადგილზე გაეცნონ.

2022 წლის დეკემბერში გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ენგურჰესის ციფრულ მმართველობაზე გადასვლას ითვალისწინებდა. ეს ინიციატივა მოიცავს 3 ეტაპს: 1. არსებული სიტუაციის აუდიტი, ანალიზი და ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა, რაც პროგრამული უზრუნველყოფისთვის აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენს; 2. შესაბამის მოწყობილობებთან ერთად პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და 3. ციფრული მმართველობის იმპლემენტაცია/დანერგვა.

Maden ve Sade Suyun %70'i Rusya'ya İhraç Edilmektedir

მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის 70%-ზე მეტი რუსეთზე მოდის

Gürcistan'ın iki aylık dış ticaret verilerine göre, maden ve sade sular ülkeden ihraç edilen ilk on mal arasında yerini alamadı. Cari yılın Ocak-Şubat aylarında bu ürünlerin ihracatı geçen yılın 2 ayına göre %34.9 oranında azaldı. Böylelikle maden ve sade sular en çok ihraç edilen on mal sıralamasında 11. sıraya geriledi. Geçmiş yıllarda maden ve sade sular ana ihracat kalemlerinden biriydi. Resmi istatistiğe göre, cari yılın Ocak-Şubat aylarında Gürcistan 25 426 ton maden ve sade sular ihracatından 15 163 000 ABD Dolar geliri elde etmişti. Ana ihracatçı ülke Rusyaydi. İhraç edilen malların %70.6'sı Rusya'ya gitmektedir.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ორი თვის მონაცემებით, მინერალური და მტკნარი წყლები ქვეყნის მთავარი საექსპორტო საქონლის ათეულში ვერ მოხვდა. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ამ დასახელების საქონლის ექსპორტი გასული წლის 2 თვესთან შედარებით 34.9%-ით შემცირდა. ამგვარად, მინერალურმა და მტკნარმა წყლებმა TOP-საექსპორტო საქონლის ათეულიდან მეთერთმეტე ადგილზე გადაინაცვლა. მაშინ როდესაც გასული წლების განმავლობაში მინერალური და მტკნარი წყლები ერთ-ერთი მთავარი საექსპორტო საქონელი იყო. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში საქართველომ 25 426 ტონა მინერალური და მტკნარი წლების ექსპორტით 15 მილიონ 163 ათასი დოლარის შემოსავალი მიიღო. მთავარი საექსპორტო ბაზარი კი რუსეთი იყო. ამ ქვეყანაზე ექსპორტის 70.6% მოდის.

İthal Eden 10 Ülke Listesi Aşağıdaki Gibidir:

საექსპორტო ქვეყნების ათეული კი ასეთია:

1. Rusya- 10.7 Milyon Dolar, 19 462 Ton/რუსეთი - 10.7 მლნ დოლარი, 19 462 ტონა;
2. Kazakistan- 1.2 Milyon Dolar, 1 616 Ton/ყაზახეთი - 1.2 მლნ დოლარი, 1 616 ტონა;
3. Litvanya- 1 Milyon Dolar, 1 354 Ton/ლიეტუვა - 1 მლნ დოლარი, 1 354 ტონა;
4. Uzbekistan- 834 000 Dolar, 890 Ton/უზბეკეთი - 834 ათასი დოლარი, 890 ტონა;
5. Belarusya- 257 000 Dolar, 600 Ton/ბელარუსი - 257 ათასი დოლარი, 600 ტონა;
6. Almanya- 207 000 Dolar, 186 Ton/გერმანია - 207 ათასი დოლარი, 186 ტონა;
7. Moldova- 178 000 Dolar, 198 Ton/მოლდოვა - 178 ათასი დოლარი, 198 ტონა;

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

8. ABD-140 000 Dolar, 260 Ton/აშშ-140 ათასი დოლარი, 260 ტონა;
9. Letonya- 121 000 Dolar, 254 Ton/ლატვია - 121 ათასი დოლარი, 254 ტონა;
10. Ukrayna- 58 000 Dolar, 112 Ton/უკრაინა - 58 ათასი დოლარი, 112 ტონა.

Gürcistan'daki Karlı Banka Sıralaması
საქართველოს მომგებიანი ბანკების რეიტინგი

Gürcistan'da faaliyet gösteren ticari bankalar Ulusal Bankası'na Ocak-Şubat ayların mali raporlarını halihazırda sundular.

Dokümanlara göre, 15 banka geçen seneye kıyasla %27 oranında daha fazla olan, toplamda 384 000 000 Larilik net kazancı elde etmişler. Bu sene bankalar tarafından elde edilmiş faiz ve faiz dışı geliri 1 027 000 000 Doları oluşturdu, yıllık büyüme %24 olarak gerçekleşti.

Bankalar tarafından ödenmiş gelir vergisi ise Ocak-Şubat aylarında geçen seneye göre %33 daha fazla olan 58.4 Milyon Lari olarak gerçekleşti.
Net kazanç açısından cari yıl 182 000 000 Larilik kazancı elde eden "Gürcistan Bankası" birinci sıradadır. İkinci sırada (130 000 000 Lari) "TBC Bankası", üçüncü sırada ise 18 000 000 Larilik kazancı ile "Credo Bankası" yer almaktadır. Bununla birlikte, üç ticari banka zarar etmektedir.

საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა ეროვნულ ბანკს იანვარ-თებერვლის ფინანსური ანგარიშები უკვე წარუდგინეს.

დოკუმენტების თანახმად, 15-მა ბანკმა ჯამში 384 მილიონი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა, რაც წინა წელთან შედარებით 27%-ით მეტია, მთლიანად ბანკების მიერ მიღებული საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავალი წელს 1.27 მილიარდი ლარი იყო, რაც წლიურ ჭრილში 24%-ით არის გაზრდილი.

ბანკების მიერ გადახდილი მოგების გადასახადი კი იანვარ-თებერვალში 58.4 მილიონი ლარი იყო, რაც წინა წელთან შედარებით 33%-ით მეტია.

წმინდა მოგების მხრივ წელს პირველ ადგილზე "საქართველოს ბანკია", რომელმაც 182 მილიონი ლარის მოგება გამოიმუშავა. მეორე პოზიციას 130 მილიონით "თიბისი" იკავებს,

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

მესამეზე კი “კრედო” ბანკია 18 მილიონის მოგებით. ამასთან სამი კომერციული ბანკი მოგების ნაცვლად ზარალზე იმყოფება.

1. Gürcistan Bankası- 182.2 Milyon Lari/საქართველოს ბანკი - 182.2 მლნ ლარი;
2. TBC Bankası- 130.1 Milyon Lari/თიბისი ბანკი - 130.1 მლნ ლარი;
3. Credo Bankası- 18 Milyon Lari/კრედო ბანკი - 18 მლნ ლარი;
4. Liberty Bankası- 12.3 Milyon Lari/ლიბერთი ბანკი - 12.3 მლნ ლარი;
5. VTB Bankası- 7.9 Milyon Lari/ვითიბი ბანკი - 7.9 მლნ ლარი;
6. Halyk Bankası-7.4 Milyon Lari/ხალიკ ბანკი - 7.4 მლნ ლარი;
7. Basis Bankası-7.2 Milyon Lari/ბაზისბანკი - 7.2 მლნ ლარი;
8. ProCredit Bankası- 6.7 Milyon Lari/პროკრედიტ ბანკი - 6.7 მლნ ლარი;
9. Tera Bankası-5.5 Milyon Lari/ტერაბანკი - 5.5 მლნ ლარი;
10. Kartu Bankası-3.3 Milyon Lari/ქართუ ბანკი - 3.3 მლნ ლარი;
11. İş Bankası-3.1 Milyon Lari/იშ ბანკი - 3.1 მლნ ლარი;
12. Ziraat Bankası-1.3 Milyon Lari/ზირაათ ბანკი - 1.3 მლნ ლარი;
13. Piesera Bankası- -0.1 Milyon Lari (Zarar)/პეისერა - -0.1 მლნ ლარი (ზარალი);
14. Paşa Bankası- - 0.2 Milyon Lari (Zarar)/პაშა ბანკი - -0.2 მლნ ლარი (ზარალი);
15. Silk Bankası- - 0.6 Milyon Lari (Zarar)/სილქ ბანკი - -0.6 მლნ ლარი (ზარალი).

Rusya’dan En Fazla Petrolü Hangi Şirketler İthal Ediyorlar- İlk 5 Şirket

ვის შემოაქვს რუსეთიდან ყველაზე დიდი რაოდენობით საწვავი - Top-5 კომპანია

Rusya-Ukrayna savaşı sonrasi Gürcistan pazarında rus petrolü ve petrol ürünlerinin ithalat payı %70’e kadar yükseldi.

Bilhassa, İstatistik Kurumu verilerine göre, 2022 yılın Ocak-Şubat aylarında Gürcistan’a 162.746 Milyon Dolar değerindeki (204.362 Ton) petrol ürünleri ithal edilmiş, rus petrolün payı sadece %14 olarak geçmişti. Geçen sene 2 ay boyunca Rusya’dan 23.128 Milyon Dolar değerindeki petrol ürünleri ithal edilmişti (29.739 Ton).

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI საქართველოს ბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

2023 yılın Ocak-Şubat aylarında Gürcistan dünya çapında 158.355 Milyon Dolar değerindeki (196.491 Ton) petrol ve petrol ürünlerini satın aldı, Rusya'nın payı 108.575 Milyon Dolar (149.195 Ton) yani toplam ithalatın %68.5'idir.

რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ ქართულ ბაზარზე რუსული ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტის წილი 70%-მდე გაიზარდა.

კერძოდ, სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში განხორციელდა 162,746 მლნ დოლარის ღირებულების (204,362 ტონა) ნავთობპროდუქტების იმპორტი, რაშიც რუსული პროდუქტის წილი სულ რაღაც 14% იყო. შარშან 2 თვეში რუსეთიდან შემოვიდა 23,128 მლნ დოლარის ღირებულების ნავთობპროდუქტები (29,739 ტონა).

2023 წლის იანვარ-თებერვალში საქართველომ მსოფლიოში 158,355 მლნ დოლარის ღირებულების (196,491 ტონა) ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეიძინა, აქედან რუსეთში 108,575 მლნ დოლარის (149,195 ტონა) ანუ მთლიანი იმპორტის 68,5%.

2023 yılın Ocak-Şubat aylarında Rusya'dan en fazla petrol ve petrol ürünlerini ithal eden şirketler aşağıdaki gibidir:/5 კომპანია, რომელმაც 2023 წლის იანვარ-თებერვალში რუსეთიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ნავთობი და ნავთოპროდუქტები შემოიტანა:

- **LTD Laguna/შპს ლაგუნა**
- **LTD Lukoil Georgia/შპს ლუკოილ-ჯორჯია**
- **LTD Portal Petroleum Georgia/შპს პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია**
- **LTD Sun Petroleum Georgia (Gulf)/შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (გალფი)**
- **A.Ş. Wissol Petroleum Georgia/სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია**

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan Kime Borçludur?

ვისი ვალი აქვს საქართველოს?

Maliye Bakanlığı Şubat 2023 itibarıyla Gürcistan'ın dış borç istatistiği yayınladı. Belgeye göre, geçen ay Gürcistan'ın devlet dış borcu geçen seneki aynı dönemine kıyasla 130 000 000 ABD Doları daha fazla olan 8.26 Milyar ABD Doları oluşturdu, fakat Lari'nin Dolar ve Euro karşısında güçlenmesi nedeniyle ulusal para birimi cinsinden ifade edilen borç miktarı yıllık 3.9 Milyar Lari azalarak 21.7 Milyar Lariye geriledi.

Gürcistan'ın dış borcunda ilk sırada ülkenin en büyük altyapı projeleri geliştirmek için Asya Kalkınma Bankası'ndan aldığı kredi yer almaktadır. İkinci sırada Dünya Bankası Grubudur, oradan alınmış kredi de ağırlıklı olarak altyapı projelerine harcanmaktadır. Üçüncü sırada Avrupa Yatırım Bankası yer almaktadır.

ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით საქართველოს საგარეო ვალის ამსახველი სტატისტიკა გამოაქვეყნა. დოკუმენტის თანახმად, გასულ თვეში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა დოლარებში 8.26 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 130 მილიონი დოლარით მეტია, თუმცა, დოლართან და ევროსთან ლარის გამყარების გამო ეროვნულ ვალუტაში გამოსახული ვალის მოცულობა 21.7 მილიარდი ლარია, რაც წლიურად 3.9 მილიარდით არის შემცირებული.

საქართველოს საგარეო ვალში პირველ ადგილზე აზიის განვითარების ბანკის კრედიტია, რომლებიც ქვეყანამ უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის აიღო. მეორე ადგილზეა მსოფლიო ბანკის ჯგუფი, რომლის კრედიტებიც ასევე ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხმარდება. მესამე ადგილზეა ევროპის საინვესტიციო ბანკი.

Gürcistan kime borçlu- İstatistik:
ვისი ვალი აქვს საქართველოს - სტატისტიკა:

- ADB- 2.06 Milyar Dolar/ა.შ.შ - 2.06 მილიარდი დოლარი;
- Dünya Bankası Grubu- 1.97 Milyar Dolar/მსოფლიო ბანკის ჯგუფი - 1.97 მილიარდი დოლარი;
- EIB- 909 Milyon Dolar/EIB - 909 მილიონი დოლარი;
- Fransa (AFD)- 728 Milyon Dolar/საფრანგეთი (AFD) - 728 მილიონი დოლარი;
- Almanya (KFW)- 623 Milyon Dolar/გერმანია (KFW) - 623 მილიონი დოლარი;
- Euro Devlet Tahvili- 500 Milyon Dolar/მთავრობის ევრობონდი - 500 მილიონი დოლარი;

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

● EBRD- 226 Milyon Dolar/EBRD - 226 მილიონი დოლარი;
● AIIB- 194 Milyon Dolar/AIIB - 194 მილიონი დოლარი;
● IMF (Hükümet)- 194 Milyon Dolar/IMF (მთავრობა) - 194 მილიონი დოლარი;
● Japonya- 151 Milyon Dolar/იაპონია - 151 მილიონი დოლარი;
● EU- 140 Milyon Dolar/EU - 140 მილიონი დოლარი;
● IFAD- 37 Milyon Dolar/IFAD - 37 მილიონი დოლარი;
● Rusya- 22 Milyon Dolar/რუსეთი - 22 მილიონი დოლარი;
● Avusturya- 14 Milyon Dolar/ავსტრია - 14 მილიონი დოლარი;
● Kuveyt- 12 Milyon Dolar/ქუვეითი - 12 მილიონი დოლარი;
● Amerika Birleşik Devletleri- 11 Milyon Dolar/ამერიკის შეერთებული შტატები - 11 მილიონი დოლარი;
● CEB- 9 Milyon Dolar/CEB - 9 მილიონი დოლარი;
● Türkiye- 6 Milyon Dolar/თურქეთი - 6 მილიონი დოლარი;
● Kazakistan-4 Milyon Dolar/ყაზახეთი - 4 მილიონი დოლარი;
● Azerbaycan- 3 Milyon Dolar/აზერბაიჯანი - 3 მილიონი დოლარი;
● Ermenistan-3 Milyon Dolar/სომხეთი - 3 მილიონი დოლარი;
● İran- 2 Milyon Dolar/ირანი - 2 მილიონი დოლარი;

Bununla birlikte, Gürcistan Hükümeti 500 000 000 Dolar değerinde Eurobond ihraç etmiştir ve Ulusal Bankası'nın IMF'e karşı 428 000 000 Dolar borcu bulunmaktadır.

ამასთანავე, საქართველოს მთავრობას გამოშვებული აქვს 500 მილიონი დოლარის ევრობონდი, ხოლო ეროვნულ ბანკს აქვს IMF-ის მიმართ 428 მილიონი დოლარი მართებს.

Tiflis'te Daire Satış Fiyatı Dolar Bazında %21, Kıra %53 Artacaktır- TBC Capital

თბილისში ბინების გასაყიდი ფასი დოლარში 21%-ით, ხოლო ქირა 53%-ით გაიზრდება - TBC Capital

Şubat Ayında Kiralık Daire Fiyatları %125 Oranında Arttı-TBC Capital

თებერვალში გასაქირავებელი ბინის ფასი 125%-ით გაიზარდა - TBC Capital

Türkiye $4.4 Milyar Rekor Değerinde Askeri Silahları İhraç Etti

თურქეთმა ექსპორტზე რეკორდული $4.4 მილიარდის სამხედრო იარაღი გაიტანა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Gürcistan Bankacılık Sektörünün Aktifleri 67.8 Milyar Dolara Ulaştı

საქართველოს საბანკო სექტორის აქტივებმა 67.8 მილიარდ ლარს მიაღწია

Gürcistan Bankalarınca 44 Milyar GEL Miktarında Kredi Verilmişti

საქართველოს ბანკებს 44 მილიარდი ლარის სესხები აქვთ გაცემული

Yeni Bir Gürcü Pırıldayan Şarap Markası Piyasaya Çıktı

ბაზარზე ბრჭყვიალა ღვინის ახალი ქართული ბრენდი გამოჩნდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Rusya'nın Gürcistan Pazarındaki Petrol İthalatının Payı %70'e Yükseldi

ქართულ ბაზარზე რუსული ნავთობის იმპორტის წილი 70%-მდე გაიზარდა

Cezalardan Bütçeye %50.7 Oranında Daha Fazla Para Eklendi

ჯარიმებიდან ბიუჯეტში 50,7%-ით მეტი თანხის მობილიზება მოხდა

Gürcistan'ın Devlet Dış Borcu Yılda 136.6 Milyon Dolar Arttı

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი წლიურად 136.6 მლნ დოლარით გაეზარდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

2022'de Gürcistan'da 26 048 Evlenme ve 14 098 Boşanma Kaydedilmiştir

2022 წელს საქართველოში 26 048 ქორწინება და 14 098 განქორწინება დარეგისტრირდა

2022'de Gürcistan'da Canlı Doğan Bebeklerin Sayısı %7.9 Oranında Azaldı

2022 წელს, საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 7.9%-ით შემცირდა

Gürcistan Sermayesi "Ramada" Markası Otelleri 28 Milyon Dolara Sattı

საქართველოს კაპიტალმა "რამადას" ბრენდის სასტუმროები $28 მილიონად გაყიდა

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.5562 TRY/GEL – 0.1332 EUR/GEL – 2.7802 GBP/GEL – 3.1634

USD/GEL

27 - 03 Nisan 2023



USD/TR

27 - 03 Nisan 2023

TRY/GEL

27 - 03 Nisan 2023

BTC – 27 164. 02

27 - 03 Nisan 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING